განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ განხორციელებული მონიტორინგის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია ქაჯაია

წევრი:

ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

2019

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406129602

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

## II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
| --- | --- | --- | --- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..........

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..........

..........

..........

(ქალაქი, წელი)

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | 20 (ქ.ქუთაისი) | 0 | 0 |
| | 34 (ქ.მარნეული) | 15 | 1 |
| ექთნის თანაშემწე მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | 20 (ქ.ქუთაისი) | 0 | 0 |
| | 15 (ქ.მარნეული) | 0 | 0 |
| პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | 40 (ქ.ქუთაისი) | 13 | 0 |
| | 20 (ქ.მარნეული) | 0 | 0 |
| ფარმაცევტის თანაშემწე მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | 15 (ქ.ქუთაისი) | 9 | 1 |
| | 26 (ქ.მარნეული) | 0 | 0 |
| კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | 20 (ქ.ქუთაისი) | 9 | 0 |
| მასაჟისტი | 20 (ქუთაისი) | 11 | 0 |
| ბუღალტერი | 20 (ქუთაისი) | 0 | 0 |
| | 35 (მარნეული) | 3 | 1 |
| ინფორმაციული ტექნოლოგი | 20 (ქუთაისი) | 0 | 0 |
| | 50 (მარნეული) | 2 | 8 |
| ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) | 30 (ქუთაისი) | 10 | 0 |
| | 58 (მარნეული) | 3 | 5 |
| ღონისძიებათა მომწყობი | 10 (ქუთაისი) | 0 | 0 |
| კორესპონდენტი | 15 (ქუთაისი) | 0 | 0 |
| სასტუმრო საქმისწარმოებელი | 10 (ქუთაისი) | 6 | 2 |
| სარესტორნო საქმისმწარმოებელი | 10 (ქუთაიასი) | 0 | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

IV. საერთო მიმოხილვა

საზოგადოებრივი კოლეჯის „ელიტი" მიერ ს/კ 406129602 ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმების (არაგეგმიური მონიტორინგი) მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 17 ივნისის N489 ბრძანების საფუძველზე, რომლის საფუძველიც იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნათია ქაჯაია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავჯდომარე);
ბ) ქეთევან ჯანელიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან. საზოგადოებრივ კოლეჯში „ელიტი" ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 26-27 ივნისს ქ. ქუთაისში, 28 ივნისს - ქ. მარნეულში.

დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დროულად მიაწოდა დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა დაწესებულებაში პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია. მათ შორის, ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელშეკრულებები. მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება (ორივე მისამართზე), შემთხვევითი შერჩევით შემოწმდა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დათვალიერებულ იქნა სამედიცინო დახმარების პუნქტი, შემოწმდა რეესტრი და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------
----------------------------
(ქალაქი, წელი)

ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი. შეათანხმეს ძირითადი საკითხები. ვიზიტის ბოლოს შედგა დასკვნითი შეხვედრა კოლეჯის დირექტორთან. შეჯამდა სამი დღის მუშაობის შედეგები.

ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად და ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

(ქალაქი, წელი)

## V. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☐ | ☒ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ☐ | ☒ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☐ | ☒ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში | **მუხლი 6 /** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | პუნქტი ე) | | |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

[ქალაქი, წელი]

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☐ | ■ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☐ | ■ |

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები ექსპერტთა შეფასებით ვიზიტის დროს არ გამოვლენილა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

(ქალაქი, წელი)

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.2.

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი არ მოიცავს 1.2. ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების შეფასების წესს.

ქვესტანდარტი 1.4

დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 03.02.2011 წლის N8/ნ ბრძანებით დამტკიცებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10.12.2010 წლის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი, 1.4 ქვესტანდარტის მოთხოვნა მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, ასევე დაწესებულებაში მოქმედი არაფორმალური განათლების აღიარების წესით გათვალიწინებული რეგულაციები, კერძოდ არ განხორციელდა შეფასება პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესაბამისად და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის მიერ თეორიულ კომპონენტში შემავალ საგნებში (ინგლისური, ლათინური და მასაჟისტის პირველი მოდულის კითხვები) მიღებული უარყოფითი შეფასებების მიუხედავად დაწესებულებამ ნაწილობრივ უღიარა მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურის თეორიული კომპონენტის შემადგენელი პირველი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები სრულად და დაუშვეს მეორე მოდულზე, რომელიც წარმოადგენს თეორიული კომპონენტის შემადგენელ მოდულს.

18.01.2018 წლის N2 ბრძანების შესაბამისად, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის 15.01.2019 წლის სხდომის ოქმის საფუძველზე აღიარების მსურველს უღიარეს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილის პირველი მოდული - მასში გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგების ფლობა სრულად, მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და სწავლა გააგრძელა საგანმანათლებლო პროგრამის მეორე მოდულიდან.

ქვესტანდარტი 3.3.

ადამიანურ რესურსთან დადებული შრომითი ხელშეკრულება არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მოთხოვნებს, კერძოდ არ არის გათვალისწინებული შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები: მუშაობის დაწყების თარიღი; სამუშაო დრო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

____________

____________

[ქალაქი, წელი]

დასვენების დრო; სამუშაო ადგილი; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

VIII. რეკომენდაციების შეჯამება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

~~1.2~~1.1 ქვესტანდარტი:

სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებლები) საგანმანთლებლო პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ საწყისი სტადიიდან, რათა უფრო გააზრებულად და კონსტრუქციულად განხორციელდეს სასწავლო პროცესი, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში პროგრამების ეფექტურ განხორციელებას; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა აღნიშნული მიმართულებით გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

~~1.3~~1.2 ქვესტანდარტი:

რეკომენდაცია:

- აუცილებელია ქვესტანდარტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში შევიდეს ინფორმაცია შეფასების წესის შესახებ;
- ვინაიდან, კატალოგი სარეკლამო ხასიათის დოკუმენტია, სასურველია დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს, ინფორმაციას სტუდენტების მიღების შესახებ, მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების/პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ; ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა;
- სასურველია, კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია დაწესებულების რეალური ცხოვრებიდან, მნიშვნელოვანი ფაქტების შესაბამისი ფოტომასალით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

[ქალაქი, წელი]

- სასურველია, განისაზღვროს კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი;

1.4 ქვესტანდარტი:

- ვინაიდან დაწესებულების რეგულაციაში მითითებულია, რომ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებას კოლეჯთან სასწავლო წლის დაწყებამდე არასაპატიო მიზეზით, უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. დაკონკრეტეს და განიმარტოს მარეგულირებელ აქტში რა იგულისხმება არასაპატიო მიზეზში, რათა პროფესიული სტუდენტისთვის გასაგები და ნათელი იყოს.

- დებულებაში გასწორდეს შემდეგი ბუნდოვანი ჩანაწერი, „იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე";

- პროფესიული სტუდენტის დებულება ითვალისწინებს, რომ მობილობის პროცესის განსახორციელებლად შექმნილ სპეციალურ კომისიაში სავალდებულოა შედიოდეს აღმასრულებელი მენეჯერი, თუმცა ასეთ საშტატო ერთეულს დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გასწორდეს და შესაბამისობაში მოიყვანოს დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის დებულების ნორმები საშტატო განრიგთან ან ამოღებულ იქნას ეს ჩანაწერი, ან ცვლილებები შევიდეს დაწესებულებაში მოქმედ საშტატო განრიგში და დაემატოს აღმასრულებელი მენეჯერის საშტატო ერთეული.

<u>1.6 ქვესტანდარტი:</u>

რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეიმუშაოს ახალი შინაარის მრავალფეროვანი კითხვარები ავტორიზაციის სტანდარტების მიმართულებით, გააფართოოს სამიზნე ჯგუფი და გარდა პროფესიული სტუდენტებსა გამოკითხვა განხორციელდეს დამსაქმებლების, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა წერილობითი ფორმით;

ამასთან, ყოველწლიურად შეადგინოს სამუშაო გეგმა, მოამზადოს მისი შესრულების ანგარიშები და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომელიც დამყარებული იქნებოდა დაწესებულებაში არსებული ანალიზის შედეგებზე და მიმართული იქნებოდა დაწესებულების სუსტი მხარეების გაუმჯობესებისკენ და განვითარებისკენ, ამასთან, გამოკითხვის შედეგების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

______

______

[ქალაქი, წელი]

მომზადებულიყო ანგარიშები და სტატისტიკა, შედეგების ანალიზის შემდგომ დაესახათ სამოქმედო გეგმა; სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვადასხვა კითხვარები და ფორმები ელექტრონულად არსებობდეს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გატარდეს სათანადო ღონისძიებები; გაიწეროს მათი სამუშაო აღწერილობები.

2. მატერიალური რესურსი

2.3 ქვესტანდარტი:

- სასურველია წარმოდგენილი ელექტრონულად წიგნები, თითო ეგზემპლიარი არსებობდეს ბიბლიოთეკაში ბეჭდური სახით;
- ბიბლიოთეკარი (და სხვა პერსონალი) უნდა იცნობდეს ზედმიწევნით ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს და კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელ სხვა დოკუმენტაციას.

2.5 ქვესტანდარტი:

ვინაიდან, მარეგულირებელ აქტებში არ არის განსაზღვრული თითოეულ მისამართზე საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის ფუნქციების გამიჯვნის, დელეგირების და პასუხისმგებლობის საკითხები. ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნებისთვის დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშაოს და გაიწეროს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები უფრო დეტალურად ორივე მისამართზე. სასურველია ასევე სამუშაო აღწერილობების შემუშავება შესაბამისი პერსონალისთვის.

გაიწეროს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები უფრო დეტალურად ორივე მისამართზე დასაქმებული პირისთვის. სასურველია ასევე სამუშაო აღწერილობების შემუშავება შესაბამისი პერსონალისთვის.

2.6 ქვესტანდარტი

2.6 ქვესტანდარტის მიზნებისთვის დაწესებულებამ გააუმჯობესოს ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

[ქალაქი, წელი]

3. ადამიანური რესურსი

3.1 ქვესტანდარტი:

- განისაზღვროს პერსონალის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შემუშავდეს პერსონალის სამუშაო აღწერილობები.

3.3 ქვესტანდარტი

- შრომით ხელშეკრულებებში მითითებულ იქნეს რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელი მოდული უნდა განახორციელოს პირმა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

IX. სტანდარტების შეფასება

4. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის" დებულების თანახმად დაწესებულებაში პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი (ამონარიდი - მუხლი 6. დირექტორი ამტკიცებს პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს); ქვემოთ დასახელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის მიერ.

ვიზიტის დროს ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამები:

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება მარნეულში);
- პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება ქუთაისში);
- ფარმაცევტის თანაშემწე მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება ქუთაისში);
- კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება ქუთაისში);
- მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება ქუთაისში);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------------

------------------------------

------------------------------

[ქალაქი, წელი]

- ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება მარნეულში);
- ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება მარნეულში);
- ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება ორივე მისამართზე);
- სასტუმრო საქმისწარმოებელი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ხორციელდება ქუთაისში);

დასახელებული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება მილევად რეჟიმში, გარდა მოდულურისა, კერძოდ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა.

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მოცულობა (პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია პროფესიულ კრედიტებში და ის შეესაბამება სათანადო პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოცულობას), განსაზღვრულია მეთოდოლოგია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი", რომლის მე-17 მუხლი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობას, დადგენილია, რომ ერთი კრედიტი შეესაბამება პროფესიული სტუდენტის ჯამური (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის) დატვირთვის 25 ასტრონომიულ საათს. შეფარდება ერთნაირია პროგრამის ყველა კომპონენტისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურაში მითითებულია ქართული ენის მოდულებიც. აღნიშნულია რომ მოდულები სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის შესაბამის დონეზე ცოდნის კომპეტენცია.

დაწესებულების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ჩარჩო დოკუმენტის თანმიმდევრული სტრუქტურის დაცვით, მათ შორის მითითებულია: პროგრამის საფეხური და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის ზოგადი მიზანი და სწავლის შედეგები. ასევე, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, სწავლების მეთოდები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

(ქალაქი, წელი)

და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია. პროგრამაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი. წარმოდგენილია თანდართული მოდულები.

**პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:**

<u>პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</u>

1. ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი;
2. შპს ქუთაისის N3 სამშობიარო სახლი http://www.3samshobiaro.ge/
3. შპს ო ჩხობაძის სახ. ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო რეაბილიტაციის ცენტრი - http://www.chkhobadzeclinic.org.ge/
4. ევექსის სასწავლო ცენტრი - http://www.evex.ge/.../qutaisis-saswavlo-da-kvleviti-centri.p...
5. შპს ლერი ხონელიძის სახელობის კლინიკა https://clinic1947.wordpress.com/category/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/
6.შპს ,,მულტიპროფილური ჰოსპიტალი-მედიქალ სითი''
7.შპს ,,ფერომედი''

<u>კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</u>

1. სტომატოლოგიური კაბინეტი „დენტ-აპექსი" (აღარ ყავთ ტექნიკი,ამიტომ გავაფორმეთ ხელშეკ. ალექსანდრე კავთელაძესთან)
2.ი/მ ,,[redacted]''

<u>ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</u>

1. შპს ქუთაისის N4 აფთიაქი
2. ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი

<u>მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</u>

1. შპს სანატორიუმი წყალტუბო
2. ი/მ სამკურნალო მასაჟი და ფიზკულტურის კაბინეტი ,,იმედი''



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. სამკერვალო კომპანია „იმერი" http://www.imeri.ge/index.php...

ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. შპს ლოგოსი-1(ეს სასწავლო ცენტი გაუქმდა);

2. შპს ერაიტი;

ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. იმერეთის მშენებელთა ბიზნეს ასოციაცია http://www.bba.ge/ (შიცვალა სახელი);

სასტუმრო საქმის მწარმოებელი

1. „სასტუმრო ძველი ქალაქი" http://www.concordtravel.ge/.../lang.../tabid__3967/default.aspx

2. შპს ბაგრატი 1003 - http://www.bagrati1003.ge/

3. შპს ლაერტონ - http://www.laerton-hotel.com/tbilisi-home.html

4. აგროტურიზმის განვითარების ცენტრი ,,ქორენა''

5.ი/მ [redacted] სასტუმრო ,,გორა''

6.ი/მ [redacted] სასტუმრო არგო-პალასი

7.საოჯახო სასტუმრო ,,ელეგანტი''

ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. ბაგა-ბაღი ბურატინო (26.01.17; 5 წლის განმავლობაშია მოქმედი);
2. სკოლამდელი აკადემია ბაგა-ბაღი „ფიფქია" (26.01.17; 5 წლის განმავლობაშია მოქმედი
3. ი.მ.[redacted] ქუთაისში-კერძო ბაღი;
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის სსიპ ბაგა-ბაღების გაერთიანება" (06.09.16; 5 წლის მოქმედების ვადით).

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, კერძოდ ქუთაისში იმერეთის მშენებელთა ბიზნეს ასოციაციის, ხოლო მარნეულში - ერთ-ერთ საჯარო ბაღში, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე არსებობს საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. შედგა ინტერვიუ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან. პრაქტიკის განმახორციელებელი პირები იცნობენ შესაბამის პროგრამებს; განხორციელდა ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც გამოთქვეს კმაყოფილება სასწავლო პროცესით. განხორციელდა ასევე ინტერვიუ პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------

---------------

[ქალაქი, წელი]

მასწავლებლებთან, რომლებიც საკმაოდ მოტივირებული არიან და აქვთ გარკვეული მოსაზრებები პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ვიზიტის დროს წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

სსსმ პირებისათვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები დაწესებულებას არა აქვს, ვინაიდან არ ჰყავთ არც ერთი ასეთი საჭიროების მქონე სტუდენტი. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ სსსმ პირი არასდროს არ ჰყოლია დაწესებულებას და შესაბამისად არ დამდგარა ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება.

საგანმანათლებლო პროგრამებში ერთი და იმავე მოდულისთვის რამდენიმე განმახორციელებელი პირის არსებობის შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული თითოეული მოდულის რა კომპონენტს ახორციელებს;

პროგრამის განმახორციელებელი პირებთან (პროფესიული განათლების მასწავლებლებთან) გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ უმეტესად მასწავლებლები საწყის ეტაპზე არ არიან ჩართული საგანმანათლებლო პროცესის შემუშავებისა და ადაპტირების პროცესში. მათ აქვთ გარკვეული მოსაზრებები მოდულებში ცვლილებებთან დაკავშირებით. გამოთქვეს სურვილი პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ საწყისი სტადიიდან, რათა უფრო გააზრებულად და კონსტრუქციულად მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება/შემუშავება. ზემოთ აღნიშნული გარემოებები დადასტურდა ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ინტერვიურებისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიული განატლების მასწავლებლებთან ინტერვიურება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიურება;
- „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი" დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

[ქალაქი, წელი]

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ დებულება დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ;

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:
სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებლები) საგანმანთლებლო პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ საწყისი სტადიიდან, რათა უფრო გააზრებულად და კონსტრუქციულად განხორციელდეს სასწავლო პროცესი, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში პროგრამების ეფექტურ განხორციელებას; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა აღნიშნული მიმართულებით გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

**1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოცემულია ორ ნაწილად: ქუთაისის წარმომადგენლობის კატალოგი (2019 წ.) და მარნეულის წარმომადგენლობის კატალოგი (2019 წ.), სადაც ასახულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების შესახებ, თუმცა, ქვესტანდარტის შესაბამისად არ არის ინფორმაცია შეფასების წესის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქუთაისის წარმომადგენლობის კატალოგი 2019 წ. *http://www.cceliti.ge/uploads/editor/Image/ქუთაისი_2019.pdf*
- *მარნეულის წარმომადგენლობის კატალოგი 2019 წ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

------------

*[ქალაქი, წელი]*

*http://www.cceliti.ge/uploads/editor/Image/მარნეული.pdf*

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

**ხარვეზი:**

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი არ მოიცავს 1.2. ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების შეფასების წესს.

რეკომენდაცია:

- აუცილებელია ქვესტანდარტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში შევიდეს ინფორმაცია შეფასების წესის შესახებ;
- ვინაიდან, კატალოგი სარეკლამო ხასიათის დოკუმენტია, სასურველია დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს, ინფორმაციას სტუდენტების მიღების შესახებ, მოდულის/პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების/პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ; ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა;
- სასურველია, კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია დაწესებულების რეალური ცხოვრებიდან, მნიშვნელოვანი ფაქტების შესაბამისი ფოტომასალით;
- სასურველია, განისაზღვროს კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი;

**1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს**

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული კოლეჯის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო დოკუმენტს და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. გარდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ზაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა მილევად რეჟიმში ხორციელდება დაწესებულების რეალიზებული საგნობრივი პროგრამები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფარმაცევტის თანაშემწე მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინფორმაციული ტექნოლოგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასტუმრო საქმისწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები**

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები გაწერილი აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიული სტუდენტის დებულება". პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული ბაზების შეფასებისას დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული სტუდენტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------
------------
------------
[ქალაქი, წელი]

2019.

სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები დაცულია, მარეგულირებელ აქტში აღარ არსებობს ჩანაწერი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შედეგად მიღებული კრედიტებისა და მიღწეულის სწავლის შედეგების ანულირების შესახებ.
დაწესებულებაში არ ყოფილა პროფესიული სტუდენტების მობილობის შემთხვევები.

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტის დებულებაში ვკითხულობთ, რომ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებას კოლეჯთან სასწავლო წლის დაწყებამდე არასაპატიო მიზეზით, უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. თუმცა, არსად არ არის განსაზღვრული რას გულისხმობს არასაპატიო მიზეზი.

პროფესიული სტუდენტის დებულება ითვალისწინებს, რომ მობილობის პროცესის განსახორციელებლად შექმნილ სპეციალურ კომისიაში სავალდებულოა შედიოდეს აღმასრულებელი მენეჯერი, თუმცა ასეთ საშტატო ერთეულს დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გასწორდეს და შესაბამისობაში მოიყვანოს დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის დებულების ნორმები საშტატო განრიგთან ან ამოღებულ იქნას ეს ჩანაწერი, ან ცვლილებები შევიდეს დაწესებულებაში მოქმედ საშტატო განრიგში და დაემატოს აღმასრულებელი მენეჯერის საშტატო ერთეული.

სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი დებულება ითვალისწინებს ბუნდოვან ჩანაწერს, კერძოდ „იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე". აღნიშნულის თაობაზე დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია ჩანაწერის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის ბრძანებით, რომლის შესაბამისად ტარდება გამოცდა არაფორმალური გზით შეძენილი კომპეტენციების დადასტურების მიზნით. გამოცდა შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან, რომელთა ფარგლებში ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესატყვის კომპონენტებთან პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების თავსებადობის დადგენა. საგამოცდო საკითხებს, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების ფლობის დადასტურების საჭიროებებიდან გამომდინარე, ადგენს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია. დადგენილია ასევე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეფასების წესი, რომლის შესაბამისად არაფორმალური პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

2019

განათლების აღიარების პროცესში დასაშვებია ცალკეული კომპონენტები შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით განგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით. თითოეულ კომპონენტში მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასებას.

დადებითი შეფასებებია:

ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) (B) მალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%,

ბ) (F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 0-40%

არაფორმალური პროფესიული განათლების კომპონენტი ეთვლება და აღიარებულია შესაბამის კომპონენტში ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღწევის შედეგად.

„FX" შეფასების მიღების შემთხვევაში არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

„F" შეფასების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომპონენტი არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს არ უღიარდება.

სტუდენტთა პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ არაფორმალური განათლების აღიარების წესით გათვალიწინებული რეგულაციები, კერძოდ შეფასების წესი დარღვეული იყო, ერთ-ერთი სტუდენტის შემთხვევაში, რომელსაც ტესტებში მიღებული ჰქონდა შეფასება „F", „F" და „FX" გამოცდებში (ლათინური - 45, ინგლისური - 38, მასაჟისტის პირველი მოდულის კითხვები - 37) 15.01.2019 წლის კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე და დირექტორის 18.01.2019 წლის N2 ბრძანებით უღიარეს მასაჟისტის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილის პირველი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად, მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და სწავლა გააგრძელა საგანმანათლებლო პროგრამის მეორე მოდულიდან.

დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 03.02.2011 წლის N8/ნ ბრძანებით დამტკიცებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10.12.2010 წლის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი და 1.4 ქვესტანდარტის მოთხოვნა მიღებული განათლების აღიარებასთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

________________

________________

(ქალაქი, წელი)

2019

დაკავშირებით, ასევე დაწესებულებაში მოქმედი არაფორმალური განათლების აღიარების წესით გათვალიწინებული რეგულაციები; კერძოდ მიღწევების შეფასება და აღიარება არ განხორციელდა დასახელებული აქტების შესაბამისად. აღიარების მსურველის მიერ უარყოფითი შეფასების მიღების მიუხედავად მას უღიარეს მასაჟისტის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილის პირველი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად, მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და სწავლა გააგრძელა საგანმანათლებლო პროგრამის მეორე მოდულიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული სტუდენტის დებულება"
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ხარვეზი:

დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 03.02.2011 წლის N8/ნ ბრძანებით დამტკიცებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10.12.2010 წლის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი, 1.4 ქვესტანდარტის მოთხოვნა მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, ასევე დაწესებულებაში მოქმედი არაფორმალური განათლების აღიარების წესით გათვალიწინებული რეგულაციები, კერძოდ არ განხორციელდა შეფასება პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესაბამისად და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის მიერ თეორიულ კომპონენტში შემავალ საგნებში (ინგლისური, ლათინური და მასაჟისტის პირველი მოდულის კითხვები) მიღებული უარყოფითი შეფასებების მიუხედავად დაწესებულებამ ნაწილობრივ უღიარა მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურის თეორიული კომპონენტის შემადგენელი პირველი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები სრულად და დაუშვეს მეორე მოდულზე, რომელიც წარმოადგენს თეორიული კომპონენტის შემადგენელ მოდულს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

(ქალაქი, წელი)

2019

18.01.2018 წლის N2 ბრძანების შესაბამისად, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის 15.01.2019 წლის სხდომის ოქმის საფუძველზე აღიარების მსურველს უღიარეს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილის პირველი მოდული - მასში გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგების ფლობა სრულად, მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და სწავლა გააგრძელა საგანმანათლებლო პროგრამის მეორე მოდულიდან.

რეკომენდაცია:

- ვინაიდან დაწესებულების რეგულაციაში მითითებულია, რომ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებას კოლეჯთან სასწავლო წლის დაწყებამდე არასაპატიო მიზეზით, უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. დაკონკრეტეს და განიმარტოს მარეგულირებელ აქტში რა იგულისხმება არასაპატიო მიზეზში, რათა პროფესიული სტუდენტისთვის გასაგები და ნათელი იყოს.

- დებულებაში გასწორდეს შემდეგი ბუნდოვანი ჩანაწერი, „იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე";

- პროფესიული სტუდენტის დებულება ითვალისწინებს, რომ მობილობის პროცესის განსახორციელებლად შექმნილ სპეციალურ კომისიაში სავალდებულოა შედიოდეს აღმასრულებელი მენეჯერი, თუმცა ასეთ საშტატო ერთეულს დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გასწორდეს და შესაბამისობაში მოიყვანოს დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის დებულების ნორმები საშტატო განრიგთან ან ამოღებულ იქნას ეს ჩანაწერი, ან ცვლილებები შევიდეს დაწესებულებაში მოქმედ საშტატო განრიგში და დაემატოს აღმასრულებელი მენეჯერის საშტატო ერთეული.

**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

____________

____________

(ქალაქი, წელი)

2019

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიული სტუდენტის დებულება". რომლის თანახმად, მსგავს სიტუაციაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს უზრუნველყოფს შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით.

დებულების მიხედვით პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებაზე.

ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას პროფესიული სტუდენტი განთავისუფლებულია სწავლის დამატებითი გადასახადისაგან.

კოლეჯი არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი. აღნიშნული ასოციაციის წევრ კოლეჯებს შორის გაფორმებულია ერთობლივი მემორანდუმი რომლითაც უზრუნველყოფილია ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმი მსგავს სიტუაციაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიული სტუდენტის დებულება"
- მემორანდუმი კკერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებს შორის

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

[ქალაქი, წელი]
2019

**1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების რეგულაცია გაწერილია დოკუმენტში „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი", რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ. ამ დოკუმენტის თანახმად უნდა მოხდეს „შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების შესახებ ინფორმაციის მუდმივი შესწავლა და აღნიშნულის საფუძველზე მომავალი სტრატეგიის განსაზღვრა; პროფესიულ სტუდენტთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ურთიერთკავშირის დახვეწა/განვითარებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება";

ამავე დოკუმენტის მერვე მუხლი თანახმად „8.1 სასწავლო პროცესის დასრულებამდე სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორისა და ადმინისტრაციის გამოკითხვას, ხოლო პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პოტენციურ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. ზემოაღნიშნული სამსახური გამოკითხვას ატარებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.
8.2 წინამდებარე მუხლის შესაბამისად ჩატარებული გამოკითხვის შესწავლა/დამუშავებაში მონაწილეობას იღებს ასევე შესაბამისი სასწავლო საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა და სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები.
აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა ინტერვიუ კოლეჯის სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, რომელსაც ვთხოვეთ წარმოედგინა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
წარმოდგენილ იქნა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის კითხვარები, შესაბამისი პასუხების ანალიზით და დიაგრამებით, თუმცა, კითხვარების პასუხების ანალიზიდან ჩანს, რომ არ გამოვლენილა არც ერთი უარყოფითი მოსაზრება ან წინადადება. ყველა შემთხვევაში პასუხები არის ასი პროცენტით დადებითი. შესაბამისად, სამსახურმა საჭიროდ არ მიიჩნია რაიმე რეაგირება მოეხდინა ამ საკითხზე. ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ „კარგი პასუხები იყო და რა უნდა შეგვეცვალათ" აქედან გამომდინარე არ არსებობს არავითარი რეკომენდაცია დაწესებულების განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------
---------------------
[ქალაქი, წელი]

2019

აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად, მოხსენებითი ბარათები გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე წარდგენილია კოლეჯის დირექტორისათვის.
ვინაიდან პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა არ იყო სრულფასოვანი და ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მარნეულში დასაქმებული პირი არ იცნობდა მის ფუნქციებს, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის გაეცნოს დაწესებულების რეგულაციას.
დაწესებულებას წერილობითი არ წარმოუდგენია მასწავლებლების და დამსაქმებლებისთვის განკუთვნილი გამოკითხვის შედეგები, ანალიზი და რეკომენდაციები. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ინტერვიურებისას დადგინდა რომ მასწავლებლებთან და დამსაქმებლებთან კომუნიკაციის შედეგად აწარმოებს ზეპირ გამოკითხვას და ვინაიდან კმაყოფილებას გამოთქვამენ პროგრამის გახორციელებასთან დაკავშირებით, და თვლის, რომ შესაბამისად აღარ არსებობს რეკომენდაციებისა და ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებებით
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის ფუნქციონირების დამადასტუდებელი მტკიცებულებებით;
- კითხვარებით;
- მოხსენებითი ბარათებით;
- ოქმებით;
- ინტერვიურებით;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------
----------------------
[ქალაქი, წელი]
2019

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეიმუშაოს ახალი შინაარის მრავალფეროვანი კითხვარები ავტორიზაციის სტანდარტების მიმართულებით, გააფართოოს სამიზნე ჯგუფი და გარდა პროფესიული სტუდენტებსა გამოკითხვა განხორციელდეს დამსაქმებლების, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა წერილობითი ფორმით;

ამასთან, ყოველწლიურად შეადგინოს სამუშაო გეგმა, მოამზადოს მისი შესრულების ანგარიშები და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომელიც დამყარებული იქნებოდა დაწესებულებაში არსებული ანალიზის შედეგებზე და მიმართული იქნებოდა დაწესებულების სუსტი მხარეების გაუმჯობესებისკენ და განვითარებისკენ, ამასთან, გამოკითხვის შედეგების შესახებ მომზადებულიყო ანგარიშები და სტატისტიკა, შედეგების ანალიზის შემდგომ დაესახათ სამოქმედო გეგმა; სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვადასხვა კითხვარები და ფორმები ელექტრონულად არსებობდეს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გატარდეს სათანადო ღონისძიებები; გაიწეროს მათი სამუშაო აღწერილობები.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საექსპერტო ვიზიტის დროისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი, რომლის შესაბამისად ქუთაისსა და მარნეულში უძრავი ქონების მესაკუთრე ფიზიკურ პირებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულებები ქონებით სარგებლობის თაობაზე. უძრავი ქონების მესაკუთრესა და დაწესებულებას შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებები. მარნეულში არსებული შენობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 05.09.2023 წლამდე, ხოლო ქუთაისში 25.11.2019 წლამდე. მოცემულ ეტაპზე მარნეულში მე-3 სართულზე მდებარე ფართით, რომელიც წარმოადგენს ერთიან სივრცეს (304 კვ.მ) დაწესებულება არ სარგებლობს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

[ქალაქი, წელი]

2019

| | | |
|---|---|---|
| 1 | ქალაქი ქუთაისი , ქუჩა გრიშაშვილი , (ყოფ. ცისფერყანწელთა ქ.) , N 7 (ყოფ. N2), ს.კ. [redacted] | 902.95 კვ.მ. |
| 2 | ქალაქი მარნეული , ქუჩა რუსთაველი, N 12, სართული2,სართული3, [redacted] | 608 კვ.მ. |
| | | |
| | | |
| | | |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერით სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულებით;
- საკადასტო აზომვითი ნახაზებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ზ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება ორივე მისამართზე ფლობს საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსს/ინვენტარს. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, პროექტორები.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის სასწავლო ფართი აღჭურვილია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული სათანადო რესურსით, რომლებიც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულებაში არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

[ქალაქი, წელი]
2019

- სასაქონლო ზედნადებებით;
- ანგარიშფაქტურებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- საბუღალტრო პროგრამით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი ორივე მისამართზე უზრუნველყოფილია სველი წერტილებით, ელ. ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, გათბობის ცენტრალური სისტემით. ბუნებრივი განათების შესაძლებლობა აქვს ყველა ყველა აუდიტორიას, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისთვის გამოიყენება.

პროფესიული პროგრამების განხორციელების ადგილები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები,სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებით;
- საინვენტარიზაციო აქტით;
- საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- მომსახურების გადახდის ქვითრებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------
----------------

[ქალაქი, წელი]
2019

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
ბიბლიოთეკის დათვალიერება მოხდა, როგორც ქ. ქუთაისში, ასევე ქ. მარნეულში. ქ. ქუთაისში ბიბლიოთეკა მოწყობილია დიდ საარკეებიან ოთახში. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია კატალოგში, მოქმედებს მკითხველის ბარათები, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, იწარმოება საინვენტარო წიგნი და არსებობს ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკა მუშაობს დებულებით დადგენილი წესით. კოლეჯს შეძენილი აქვს პროგრამა „ოფენ ბიბლიო".
შერჩევითი წესით შემოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული ლიტერატურის არსებობა წიგნად ფონდში. ქუთაისის ბიბლიოთეკაში ყველა მოთხოვნილი წიგნი ადგილზე აღმოჩნდა. არ იყო დალუქული საინვენტარიზაციო წიგნი, თუმცა ვიზიტის განმავლობაში ეს ხარვეზი გამოსწორდა. ბიბლიოთეკაში არ არსებობდა ასლგადამღები აპარატურა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განგვიცხადა რომ დაზიანდა და შესაკეთებლად ჰქონდათ წაღებული.
რაც შეეხება მარნეულის წარმომადგენლობას. აქ ბიბლიოთეკა მოწყობილია ფოიეში ნახევრად გატიხრული კედლებით, შერჩევით შემოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურა. წიგნები ადგილზე იყო. უმეტესობა ელექტრონული ფორმით იყო წარმოდგენილი. ბეჭდური წიგნები ბიბლიოთეკარს სათანადო წესით ჰქონდა დამუშავებული. ბიბლიოთეკის ოთახში გაკრული ჰქონდა ბიბლიოთეკის წესი, ბიბლიოთეკარმა ინტერვიუზე განგვიცხადა რომ ეს წესი წაკითხული არა აქვს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
- ადგილზე დათვალიერებით;
- ხელშეკრულებით;
- ინტერვიუთი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------
(ქალაქი, წელი)
2019

- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციით;
- ელექტრონული და ბეჭდური კატალოგებით;
- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- საგანმანათლებლო რესურსების სარეგისტრაციო ჟურნალით;
- მკითხველის ბარათებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- სასურველია წარმოდგენილი ელექტრონულად წიგნები, თითო ეგზემპლიარი არსებობდეს ბიბლიოთეკაში ბეჭდური სახით;
- ბიბლიოთეკარი (და სხვა პერსონალი) უნდა იცნობდეს ზედმიწევნით ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს და კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელ სხვა დოკუმენტაციას.

**2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
დაწესებულებაში ორივე მისამართზე არის კომპიუტერები როგორც ადმინისტრაციისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისათვის. ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით,
- ინვენტარიზაციის წიგნით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

[ქალაქი, წელი]
2019

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
დაწესებულებას გაწერილია აქვს საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის" დირექტორის 2018 წლის 09/ნოემბრის N71 ბრძანებით და ამ ინსტრუქციის შესაბამისად დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა-ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა ელექტრონული ფორმით, ასევე დაწესებულებაში შემუშავებულია და იყენებენ დოკუმენტების აღრიცხვის ელექტრონულ პროგრამას.

ვინაიდან, მარეგულირებელ აქტებში არ არის განსაზღვრული თითოეულ მისამართზე საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის ფუნქციების გამიჯვნის, დელეგირების და პასუხისმგებლობის საკითხები. ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნებისთვის დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშაოს და გაიწეროს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები უფრო დეტალურად ორივე მისამართზე. სასურველია ასევე სამუშაო აღწერილობების შემუშავება შესაბამისი პერსონალისთვის.

**დასტურდება:**

- საქმისწარმოების წესით;
- ელექტრონული პროგრამით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**რეკომენდაცია:**
ვინაიდან, მარეგულირებელ აქტებში არ არის განსაზღვრული თითოეულ მისამართზე საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის ფუნქციების გამიჯვნის, დელეგირების და პასუხისმგებლობის საკითხები. ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნებისთვის დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშაოს და გაიწეროს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები უფრო დეტალურად ორივე მისამართზე. სასურველია ასევე სამუშაო აღწერილობების შემუშავება შესაბამისი პერსონალისთვის.

გაიწეროს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები უფრო დეტალურად ორივე მისამართზე დასაქმებული პირისთვის. სასურველია ასევე სამუშაო აღწერილობების შემუშავება შესაბამისი პერსონალისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
(ქალაქი, წელი)

2019

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ა-ბ) დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, ევაკუაციის გეგმა, რომელიც გამოკრულია სათანადო ადგილას, თუმცა ქუთაისში არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია ტექნიკური რეგლამენტით „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ". დაწესებულება ვიზიტის პერიოდში დაუკავშირდა კონტრაქტორ კომპანიას, რომლის წარმომადგენელი გამოცხადდა და აღნიშნა, რომ მომდევნო დღეს წარმოადგენდნენ შესაბამისი სტანდარტების გეგმას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია ჩანაცვლდა თუ არა არსებული საევაკუაციო გეგმები სტანდარტების შესაბამისი საევაკუაციო გეგმებით. ამასთან, ქუთაისში ვიზიტის დროს დაწესებულებაში არ იყო ცეცხლმაქრები, რომელიც ვიზიტის დროს მოიტანეს და დამუხტეს.

მარნეულის წარმომადგენლობაში არსებული საევაკუაციო გეგმები აკმაყოფილებდა სტანდარტებს, გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილას, თუმცა არსებული ცეცხლმაქრები არ იყო ვარგისი ექსპლუატაციისათვის, კერძოდ მოქმედების ვადა არ იყო გასული, თუმცა ცეცხლმაქრების ციფრულ მაჩვენებელზე ისარი განთავსებული იყო წითელ ნიშნულზე. ვიზიტის დროს დაწესებულების მოთხოვნით გამოცხადდა იმ კომპანიის წარმომადგენელი, ვინც დაწესებულებას მომსახურებას უწევდა და მუხტავდა ცეცხლმაქრებს, მათი განმარტებით ადგილი ჰქონდა ტექნიკურ გაუმართაობას, წნევა იყო დავარდნილი, რომლის მიზეზსაც გამოიკვლევდნენ. ვიზიტის დროს განხორციელდა ცეცხლმაქრების შეცვლა ვარგისით.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის, დასუფთავების უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ კოლეჯის დებულებაში. დაწესებულებაში ორივე მისამართზე ფუნქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტი, სადაც არის პირველი დახმარებისათვის საჭირო ნივთები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________
______________
______________
(ქალაქი, წელი)
2019

მედიკამენტები. მედდა აწარმოებს აღრიცხვის ჟურნალს. ქუთაისში მედიკამენტების შემოწმებისას არმოჩნდა, რომ უმეტესობა ვადაგასული იყო. ვიზიტის მიმდინარეობისას განხორციელდა პირველადი დახმარების წამლების შესყიდვა.

დ) ორივე მისამართზე დაწესებულების სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა და მიმდებარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერების მეშვეობით, რომლის მონიტორინგის და მეთვალყურეობის უფლებამოსილება დაკისრებული აქვს დაცვის თანამშრომელს, რომელსაც ევალება დაწესებულებაში წესრიგის დაცვის კონტროლი. უსაფრთხოების მიზნებისთვის შენობაში დამონტაჟებულია სასიგნალიზაციო სისტემები, მომსახურების ახორციელებს დაცვის სამსახური.

დასტურდება:

- შრომითი ხელშეკრულებებით;
- მომსახურების ხელშეკრულებებით;
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრებით;
- კოლეჯის დებულებით;
- სამედიცინო მომსახურების აღრიცხვის ჟურნალით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

2.6 ქვესტანდარტის მიზნებისთვის დაწესებულებამ გააუმჯობესოს ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ორივე შენობაში სართულებს შორის დამაკავშირებელ კიბეებზე დამონტაჟებულია ასაკეცი რკინის პანდუსები, თუმცა მისი ტექნიკური მდგომარეობის გამო, ვინაიდან სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დამოუკიდებლად ვერ გადადგილდება დაცვის თანამშრომელს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

(ქალაქი, წელი)

2019

დავალებული აქვს მისთვის დახმარების გაწევა, რაც გაწერილია დაწესებულების მარეგულირებელ აქტებში. ისეთ სივრცეებში, რომელსაც შესასვლელად ერთი საფეხური აქვს ასასვლელი, აქაც მოწყობილია ანალოგიური პანდუსები. დაწესებულებაში ასევე მოწყობილია ადაპტირებული სანიტარული სივრცე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფოტო მასალა;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების ვებ-გვერდი ორენოვანია: ქართული, ინგლისური. თუმცა ინგლისურ ვერსიაში არ არის თარგმნილი სრულად ინფორმაცია. საიტი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სტრუქტურა, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების შესახებ, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიული პროგრამები, პროფესიული პროგრამების კატალოგი, არის სიახლეების ბლოკიც, ფოტო-გალერეა, საკონტაქტო ინფორმაცია. ბოლო განახლება არის დათარირებული 31 მაისით 2019 წ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- www.cceliti.ge
- http://cceliti.ge/main/modules/4/18

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------
----------------------------
----------------------------
[ქალაქი, წელი]

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დაწესებულებას შემუშავებულია 6 (ექვს) წლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელთა მიზნები და ამოცანები თავსებადია კოლეჯის მისიასთან, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევას, შემუშავებულია დაინტერესებული პირების ჩართულობით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. სამოქმედო გეგმა გაწერილია დეტალურად, ითვალისწინებს შესასრულებელ ამოცანებს, შესრულების ვადებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

[ქალაქი, წელი]

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
დაწესებულებას პერსონალის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი არა აქვს. შესაბამისად შემოწმდა მხოლოდ ბიბლიოთეკარის და მედდის კვალიფიკაცია. მოხდა ადმინისტრაციის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლა.თითოეული პირადი საქმე მოიცავს პირადობის ასლს, განცხადებას, განათლების დამადასტურებელ დოკუმენტის ასლებს, დიპლომებს, სერთიფიკატებს, სურათს, შრომითი ხელშეკრულებას.
პერსონალის პირად საქმეებში დევს გაცნობის ფურცელი, რომელიც ადასტურებს თანამშრომელთათვის შრომის შინაგანაწესისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების გაცნობას.
დაწესებულებაში დადგენილია პერსონალის თანამდებობრივი უფლებამოსილებები საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში ფუნქციების სახით, თუმცა ზოგადია და არ არის დეტალურად გაწერილი პერსონალის სამუშაო აღწერილობა, რომლის შემუშავებაზე დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- პერსონალის პირადი საქმეების ვიზუალური დათვალიერება;
- პერსონალის ხელშეკრულებები

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- განისაზღვროს პერსონალის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შემუშავდეს პერსონალის სამუშაო აღწერილობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

[ქალაქი, წელი]
2019

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფარდებით 1/20, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის. დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებლები, როგორც ქუთაისში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ასევე, მარნეულის წარმომადგენლობაში. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილის ბაგა-ბაღის აღმზრდელის საგანმანათლებლო პრაოგრამის განხორციელების მიზნებისთვის დაწესებულებაში დასაქმებულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, თითოეულ მისამართზე 9 – 9 პირი; ასევე დაცულია მილევად რეჟიმში არსებული საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური რესურსისა და სტუდენტებისთანაფარდობა 1/20.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
დაწესებულების დებულების თანახმად კოლეჯის თანამშრომლებს განეკუთვნებიან კოლეჯის მმართველობითი, ადმინისტრაციული და სასწავლო საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების პერსონალი, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ინსტრუქტორები (მუხლი 4). შესაბამისად, პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(ქალაქი, წელი)

განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაც ხორციელდება დებულების ამავე მუხლის ჩანაწერის შესაბამისად: „4.9 კოლეჯის თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება, როგორც პირდაპირი შერჩევის წესით, ასევე კონკურსის გამოცხადების გზით; 4.12 კოლეჯის თითოეული თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშვნა დაგანთავისუფლება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის ან/და შრომითი ხელშეკრულების გაფორმების გზით".
კოლეჯის თითოეული თანამშრომელი, დებულების თანახმად ვალდებულია თანამდებობაზე დანიშვნამდე შეავსოს კოლეჯის დირექტორის მიერ შიდა სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სპეციალური განცხადების ფორმა და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ავტობიოგრაფია (CV); 2 ცალი ფოტო სურათი; დიპლომის ასლი; პირადობის მოწმობის ასლი. კოლეჯის დირექტორის შიდა სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განისაზღვროს სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება, ვაკანსიის სპეციფიკიდან გამომდინარე. პირადი საქმეები შესაბამისი წესით არის წარმოებული.

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. 15.08.2018 წლის შემდეგ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ადამიანურ რესურსთან ერთნაირია, რადგან ხელშეკრულების ჩარჩო-ფორმა დამტკიცებულია დირექტორის 15.08.2018 წლის ბრძანებით. დასახელებულ პერიოდამდე არსებული და მოქმედი ხელშეკრულებები სხვადასხვა შინაარსისაა.
დასაქმებულებთან დადებული ხელშეკრულებები სრულად არ მოიცავს საქართველოს შრომის კოდექსის მეექვსე მუხლის მეცხრე ნაწილით განსაზღვრული შრომის ხელშეკრულების არსებით პირობებს, კერძოდ:

ა) მუშაობის დაწყების თარიღს;

ბ) სამუშაო დროს და დასვენების დროს;

გ) სამუშაო ადგილს;

დ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობას და შვებულების მიცემის წესს.

თუმცა ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ სამუშაო დრო და დასვენების დრო; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი წესრიგდება შინაგანაწესით, რომლის გაცნობის ფაქტს დამსაქმებელი ადასტურებს ხელმოწერით. აღსანიშნავია, რომ შინაგანაწესში არ არის ჩანაწერი რომ ის წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. რამდენიმე ხელშეკრულებაში არ არის შევსებული შრომის ანაზღაურების ოდენობის ადგილი.
ხელშეკრულებებში ასევე არ არის მითითებული რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელი მოდული უნდა განახორციელოს პირმა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ...............................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ...............................

...............................

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:
- ხელშეკრულებებში მითითებულ იქნეს რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელი მოდული უნდა განახორციელოს პირმა.

<u>ხარვეზი:</u>

ადამიანურ რესურსთან დადებული შრომითი ხელშეკრულება არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მოთხოვნებს, კერძოდ არ არის გათვალისწინებული შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები: მუშაობის დაწყების თარიღი; სამუშაო დრო და დასვენების დრო; სამუშაო ადგილი; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი:
1. ვიზიტის დღის წესრიგი;
2. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი;
3. კოლეჯის დებულება;
4. შინაგანაწესში ცვლილებების განხორციელების შესახებ დირექტორის ბრძანება;
5. საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქციაში ცვლილებების განხორციელების შესახებ დირექტორის ბრძანება;
6. პროფესიული სტუდენტის დებულება;
7. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი;
8. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის ოქმები;
9. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ დირექტორის ბრძანებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

[ქალაქი, წელი]

10. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (განცხადება, ტესტები, სერტიფიკატი, ცნობა, ატესტატი, პირადობის მოწმობის ასლი);
11. ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ დირექტორის ბრძანება;
12. იმერეთის სახანძრო დაცვასთან დადებული შესყიდვის ხელშეკრულებები და თანხის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;
13. პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების ჩარჩო ფორმის დამტკიცების შესახებ;
14. პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების ჩარჩო ფორმაში ცვლილების განხორციელების შესახებ;
15. შრომითი ხელშეკრულებები;
16. ფოტო მასალისა და დოკუმენტების ელვერსია.

ზემოთაღნიშნული დანართი ერთვის დასკვნის პროექტს.

08.08.2019 წელი
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------
--------------------
--------------------
[ქალაქი, წელი]